ხელშეკრულება № 23

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ოზურგეთი

24 დეკემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ სოფ. ოზურგეთის საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი ნინო ღლონტის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „დეკო DEKO"(შემდგომში„მიმწოდებელი") წარმოდგენილი ხელმძღვანელის ამირან როყვას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შენობის დასრულების სამუშაოები

CPV - 45400000, 45410000, 45420000, 45440000, 45450000

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. ს.ს.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ოზურგეთის საჯარო სკოლის I სართულზე ს.ს.მ მოსწავლეთა ოთახის, I სართულის წინა ჰოლის მე-2 სართულის დამხმარე სათავსოს და დირექტორის ოთახის შეკეთება.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4135 (ოთხი ათას ას ოცდათხუთმეტი) ლარს

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოზურგეთი

4.3. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ითვლება ორმხრივ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს დამკვეთის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2015 წლის 24 მარტამდე.

6. შესყიდვისობიექტისმიღება-ჩაბარების წესი

6.1. სამუშაოს დასრულების შემდეგ მიღება განხორციელდება დამკვეთის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის და შემსრულებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით, რაზედაც შედგება შესაბამისი აქტი,სამუშაოები შემოწმებული იქნება და თუ ისინი ჩაითვლება მისაღებად განხორციელდება საბოლაო გადახდა.

6.2. უხარისხოდ შესრულებული სამუშაო არ მიიღება და არ ანაზღაურდება.

7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

7.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი დააკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებს.

7.3. საგარანტიო ვადა(რომლის განმავლობაში შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით აანაზღაუროს გამოვლენილი ხარვეზები)საქონელის მიღება-ჩაბარებიდან არანაკლებ 1 (ერთ) წელს შეადგენს.

8. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

8.1.. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

8.2.. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

8.3. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება ერთჯერადად, შესრულებულ სამუშაოზე„ფორმა №2"-ისა და შესრულებულ სამუშაოზე გაფორმებული აქტის საფუძველზე.

8.6. ფარული სამუშაოს შესრულების შემთხვევაში უნდა შედგეს შესაბამისი აქტი,რომელსაც უნდა ერთოდეს სამუშაოს შესრულების ამსახველი ფოტომასალა.

8.7. შესრულებული სამუშაოს აქტს ხელს აწერს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

8.8.შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო დღეში.

9. მხარეთაუფლება-მოვალეობანი

9.1. „შემსყიდველი" ვალდებულია:

-გადასცეს მიმწოდებელს ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი გარემოების შესახებ;

-ანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

9.2.. „შესყიდველს" უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

- საქართველოს კანონმდებლობისშესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებდადებული ხელშეკრულების მოქმედება.

9.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

- დააკმაყოფილოს „შემსყიდველის" მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;

- სამუშაოების პარალელურად მისი ძალებითა და სახსრებით სამუშაო მოედანი პერიოდულად გათაავისუფლოს სამშენებლო ნაგვისაგან, ნარჩენი მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ.

-შეათანხმოს შემსყიდველთან შენობის ინტერიერის და ექსტერიერის დიზაინი და გამოსაყენებელი მასალების ხარისხი.

9.4. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

- მოთხოვოს „შემსყიდველს" შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.2%-ისოდენობით.

10.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების 10 კალენდარული დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება განსაზღვრული პირგასამტეხლო და ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 10 % ოდენობით.

11.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება,ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორ ივალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორ

ემხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდებახ ელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.4.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზემეტი ოდენობის გაზრდა;

11.5. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა ,ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3. მხარე, რომელსა ცშეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

15.1.„შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

15.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველის მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირები.

15.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით.

16.4.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1.არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

16.3.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, სამი პირი ინახება შემსყიდველთან, ერთი-მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.4.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, როცა ის წერილობითი ფორმითა აშედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16.5ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ,ითვლება ხელშეკრულების განუყოფელნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

16.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

16.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებ სშორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს,იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორემხარისათვის მიწოდება ელექტრონულიფოსტის საშუალებით,იმ პირობით,რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე იმის გამო,რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი – სოფ. ოზურგეთის საჯარო სკოლა. დირექტორი ნინო ღლონტი.
ს/კ 237102112
მისამართი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი. სოფ. ოზურგეთი
ბანკის რეკვიზიტები. ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია", ოზურგეთის ფილიალი.
ანგარიშის NGE57VT4300000004043408
ბანკის კოდი 220101643

მომწოდებელი: - შ.პ.ს. „დეკო DEKO", ხელმძღვანელის ამირან როყვას სახით.
საიდენტიფიკაციო კოდი: 437061607
მისამართი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სოფელ ოზურგეთი; ტელ: 555 30 37 73
ბანკის რეკვიზიტები: სს „პრივატბანკი"
კოდი: CAVOGE22, ანგარიში: **GE70TP0036 0500 2000 2953**

შემსყიდველი

ნ. ღლონტი

მომწოდებელი

ა. როყვა